08/09/2026

MES 2 26 0001177030

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25.08.2026
სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 11:50 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ციური დურული
სხდომის მდივანი ბაქარ ბერეკაშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2026 წლის 25 აგვისტოს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
2. **ზურაბ ქავთარია** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე;
3. **ნათია ჯოჯუა** - შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **რიმა ბერიაშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
5. **მარიამ ბოჭორიშვილი** - ა(ა)იპ - ტად ვიკის დირექტორი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის ხელმძღვანელი;
6. **თამარ გამსახურდია** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
8. **ნარგიზ ფალავანდიშვილი** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

10. **ნინო მინდიაშვილი-** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ბაქარ ბერეკაშვილი** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი;
12. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ივანე აბაშიძე** - სსიპ -საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:
ვახტანგ წივწივაძე - კანცლერი
ნინო ჭალაგანიძე - ვიცე კანცლერი
კახაბერ კორძაია - რექტორი
მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
თამარ ინასარიძე - აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):
ია ნაცვლიშვილი (I საკითხი)
დავით თოფურია (I საკითხი)
თინათინ გაბრიჩიძე (I საკითხი)
ეკატერინე ფიფია (I საკითხი)
გულნაზი მაღრაძე (I საკითხი)

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 11:00 სთ-ზე.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს ორივე საკითხის განხილვას უხელმძვანელა - ციური დურულმა, სხდომის მდივნის მოვალეობა ორივე საკითხთან მიმართებით შეასრულა - ბაქარ ბერეკაშვილმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებული შუამდგომლობა, კერძოდ, საბჭოს დამატებით განეხილა შემდეგი საკითხი:

- შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ (№ 789169, 24/06/2026) საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობები დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ (№789169, 24/06/2026) საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება:

- **არა**

საბჭოს წევრ (ებ)ის თვითაცილება:

- **კი**

თვითაცილება განაცხადეს **სერგო ჭელიძემ, ზურაბ ქავთარიამ და ნინო მინდიაშვილმა.**
საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

“საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სხდომას უხელმძღვანელა - ციური დურულმა, ხოლო სხდომის მდივნად განისაზღვრა ბაქარ ბერეკაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო

დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ია ნაცვლიშვილმა წარადგინა დეტალური ანგარიში. აღინიშნა, რომ 15-17 ივლისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტით იმყოფებოდა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული განაცხადის შესაფასებლად. ვიზიტის ფარგლებში ჯგუფმა შეისწავლა დოკუმენტაცია და მტკიცებულებები, შეხვდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, კლინიკური ბაზების წარმომადგენლებს, სტუდენტებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. განხორციელდა სასწავლო და დამხმარე ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, კლინიკური სასწავლო გარემოს და სტუდენტური სერვისების დათვალიერება.

ექსპერტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა უნივერსიტეტის მიღწევებზე: 2026 წლის 30 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანასა და იოაკიმეს სახელობის სამედიცინო ცენტრთან გაფორმდა მემორანდუმი, ხოლო 2025 წლის 22 ივნისს დაიდო ხელშეკრულება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საუნივერსიტეტო კლინიკის შექმნას. ხელშეკრულება დადებულია 10 წლის ვადით ავტომატური გაგრძელებით. აღინიშნა ასევე ინფრასტრუქტურული განახლება და სასწავლო ლაბორატორიების დამატებით აღჭურვა.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, რომ დაწესებულება მზად არის მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის მისაღებად, თუმცა წარადგინა 3 რეკომენდაცია და 1 რჩევა.

ექსპერტმა თინათინ გაბრიჩიძემ განმარტა მე-2 რეკომენდაცია, რომელიც ეხება აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვას. აღინიშნა, რომ QMS-ის ბაზაში წარმოდგენილი დატვირთვების მიხედვით ცალკეულ შემთხვევებში (მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა) ჯამური კვირეული სასწავლო დატვირთვა აჭარბებდა კანონმდებლობით დადგენილ ლიმიტს (48, 50, 51 საათი). მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის რაოდენობა საკმარისია გაზრდილი კონტინგენტის მომსახურებისთვის, ცალკეული შემთხვევები დაფიქსირდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, დაეფიქსირებინათ თავ იანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ მე-2 რეკომენდაციას არ იზიარებს. აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებმა მოითხოვეს გაზრდილი კონტინგენტის შემთხვევაში დატვირთვის ცხრილის წარდგენა, მაგრამ იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო კონკრეტული ცხრილის შედგენა, რადგან არ იყო ცნობილი რამდენი სტუდენტი ჩაირიცხებოდა და რა იქნებოდა საბჭოს გადაწყვეტილება. წარმოდგენილი იყო არსებული აქტიური სტუდენტების დატვირთვის ცხრილი. დაწესებულება მიიჩნევს, რომ წინასწარ, მრავალი თვით ადრე, ლექტორებთან კონკრეტული დატვირთვის შეთანხმება არასწორი და არალოგიკური იქნებოდა.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას (ფინანსური აუდიტის დასკვნა), დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონტინგენტის დამატების განაცხადთან დასართავი დოკუმენტების ჩამონათვალში ფინანსური აუდიტის დოკუმენტი მოთხოვნილი არ იყო. უნივერსიტეტმა წარადგინა საერთაშორისო აუდიტთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც 1 დეკემბრამდე უნდა დასრულდეს 2024 და 2025 წლების ფინანსური მდგომარეობის შესწავლა.

ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ ფინანსური აუდიტის მოთხოვნა მომდინარეობს ავტორიზაციის სტანდარტების მე-7 სტანდარტის 7.4 კრიტერიუმიდან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს გარე აუდიტის დასკვნის ჩატარებასა და საჯარო ხელმისაწვდომობას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვა თ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 11:20
დასრულების დრო: 11:30

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშიროსო უნივერსიტეტის - სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 9400 - ით განსაზღვრის საკითხი. (მათ შორის - 4200 ადგილი მედიცინის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე და 800 ადგილი მედიცინის ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშიროსო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 9400 - ით, მათ შორის - 4200 ადგილი მედიცინის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე და 800 ადგილი მედიცინის ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭომ იმსჯელა ექსპერტთა რეკომენდაციებზე და მიიჩნია, რომ რეკომენდაციები არ უქმნის დაწესებულებას პრობლემას არცერთი ავტორიზაციის სტანდარტის შესრულებასთან დაკავშირებით. საბჭო მიიჩნევს, რომ ეს რეკომენდაციები განვითარებაზე ორიენტირებულია და შუალედური თვითშეფასების ანგარიშის წარდგენისა და შემდგომი მონიტორინგის დროს გაითვალისწინება.

მეორე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით (№789169, 24/06/2026) წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- კი

თვითაცილება განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ, ზურაბ ქავთარიამ და ნინო მინდიაშვილმა.
საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

“საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სხდომას უხელმძღვანელა - ციური დურულმა, ხოლო სხდომის მდივნად განისაზღვრა ბაქარ ბერეკაშვილი.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ხარისხის ცენტრის წარმომადგენელს წარედგინა საჩივრის შე სახებ ინფორმაცია.
ცენტრის წარმომადგენელმა, გვანცა ძიძიგურმა წარადგინა საჩივრის არსი. მომჩივანი ალი რაზა (ირანის მოქალაქე) შპს კავკასიის უნივერსიტეტის მხრიდან მოითხოვდა გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნებას. ცენტრმა მიმართა დაწესებულებას. დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია, რომ აპლიკანტისთვის მიწოდებული ჰქონდა თანხის დაბრუნების ინსტრუქცია, წესი და მარეგულირებელი დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც უნდა წარმოედგინა საჭირო დოკუმენტები (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გადახდის ქვითრები, მოთხოვნა სწავლის საფასურის დაბრუნებაზე, ორმხრივი ავიაბილეთები და უარის წერილი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე). აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდა მომჩივანს, მაგრამ მომჩივანისგან საბოლოო კომუნიკაცია 2-ჯერ მიიღეს, რომელშიც კვლავ თხოვდა თანხის დაბრუნებას, წარმოდგენილი პროცედურის გათვალისწინების გარეშე.
ცენტრის წარმომადგენლემა აღნიშნა, რომ პროცედურა არსებობს დაწესებულებაში და მომჩივანი ინფორმირებულია, შესაბამისად, წარადგინა შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავი ანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა გედევანიშვილმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტის საპასუხო წერილში არგუმენტირებულად და დეტალურად არის მოყვანილი დაწესებულების პოზიცია, დადასტურებული მარეგულირებელი დოკუმენტებით. აღნიშნა, რომ იურისტიული სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც მუშაობდა ამ საკითხზე, დღეს არ ესწრება სხდომას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 11:42
დასრულების დრო: 12:48

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ (№789169, 24/06/2026) საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№ 789169, 24/06/2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 11:50 სთ - ზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ბერეკაშვილი ბაქარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური